



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 33 / 2016

თბილისი

19 დეკემბერი 2016 წ.

სხდომა დაწყების დრო: 10.00
სხდომის დასრულების დრო: 11.00

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, პროფ. ხათუნა ქორიძე, ასოც. პროფ. რუსუდან დევნოზაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც. პროფ. ხათუნა კალაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძე, ასოც. პროფ. ვლადიმერ ხუტაშვილი; ასოც. პროფ. თამარ ვახტანგაძე, ასოც. პროფ. სერგო ციცხვია, ასისტენტ-პროფ. მედეა დარასელია, ასისტენტ-პროფ. თამარ გოგია

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლია ოზგაძე

დღის წესრიგი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, ისახ ამირასლანოვის (პასპორტი C00897119) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

2. თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტურ ადგილებზე სტუდენტთა გამწესება.

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით, თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ისახ ამირასლანოვი (პასპორტი C00897119) არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2016 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შამქირის რაიონის სოფ. ჩაპარლის ს. მამადოვის სახელობის სრული საშუალო სკოლა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 12 დეკემბრის №924 ბრძანების საფუძველზე, მას მიეცა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირად განცხადებას თან ერთვის სათანადო საგანმანათლებლო დოკუმენტები, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია ისახ ამირასლანოვის (პასპორტი C00897119) ჩარიცხვა თქუ-ში, ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს განახლებისა და მასში აკადემიური პერსონალის გამწესების გამო საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობას დაემატოს სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა, რათა ფაკულტეტის დებულების თანახმად მათი შემადგენლობა განისაზღვროს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედის ოდენობით. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წევრებად წარმოდგენილ არიან შემდეგი პირები:

1. ზოია ენგოიანი
2. მარიამ გაბუნია

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ვლადიმერ ხუტაშვილმა და პროფ. ნინო ორმოცაძემ

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე 16-ვე წევრმა.

გადაწყვიტეს:

1. ჩარიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ისახ ამირასლანოვი (პასპორტი C00897119) თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. გამწესდნენ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი სტუდენტები:
ზოია ენგოიანი;

მარიამ გაბუნია

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს ხუთი წევრის ოდენობით:

1. თინათინ ჩადუნელი;
2. თამარ სიყმაშვილი;
3. თამარ მერებაშვილი;
4. ზოია ენგოიანი;
5. მარიამ გაბუნია.

3. ეთხოვოს თჳს რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ი.საყვარელიძე

ლ. ოზგაიძე